

## SCIENCE WITHIN THE FRAMEWORK OF IDEOLOGY: THE IMPACT OF THE PAVLOVIAN SESSION ON THE DEVELOPMENT OF SOVIET PHYSIOLOGY AND MEDICINE

მეცნიერება იდეოლოგიის ჩარჩოში: პავლოვიანური სესიის გავლენა საბჭოთა ფიზიოლოგიისა და მედიცინის განვითარებაზე

TENGIZ VERULAVA

Doctor of Medical Sciences

Professor of Caucasus University

Paata Saakadze street 1 Tbilisi, 0102, Georgia

+995577284849 [tverulava@cu.edu.ge](mailto:tverulava@cu.edu.ge)

<https://orcid.org/0000-0001-8110-5485>

### Abstract

This study critically examines the 1950 Pavlovian Session in Moscow, focusing on its ideological, scientific, and institutional implications within Soviet physiology. The session, organized by the Academy of Sciences and the Academy of Medical Sciences of the USSR, was ostensibly aimed at developing the theoretical foundations of I.P. Pavlov's teachings and integrating them into medicine, pedagogy, physical education, and animal husbandry. However, the session functioned primarily as a political instrument to control scientific discourse, marginalize dissenting physiologists, and consolidate party authority over the field. Using a qualitative historical-analytical approach, this research analyzes archival documents, institutional decisions, and contemporary accounts to evaluate the session's impact on Soviet scientific culture. Findings indicate that the session not only disrupted the development of physiology and medicine but also undermined the moral and intellectual foundations of Soviet science, fostering conformity, dogmatism, and the politicization of scientific practice.

**Keywords:** Pavlovian Session; Soviet physiology; scientific politics; ideology in science; institutional restructuring; I.P. Pavlov; Stalinism; history of science.

თენგიზ ვერულავა

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი

პაატა სააკაძის ქუჩა 1 თბილისი, 0102, საქართველო

+995577284849 [tverulava@cu.edu.ge](mailto:tverulava@cu.edu.ge)

<https://orcid.org/0000-0001-8110-5485>

### აბსტრაქტი

სტატია ეძღვნება 1950 წელს გამართულ „პავლოვიანურ სესიას“ და მისი შედეგების ანალიზს საბჭოთა ფიზიოლოგიისა და სამედიცინო მეცნიერების განვითარებაზე. კვლევა აჩვენებს, რომ სესია არ წარმოადგენდა მხოლოდ სამეცნიერო დისკუსიის ფორმატს, არამედ იყო პოლიტიკურად მართული პროცესი, რომლის მიზანსაც შეადგენდა ი. პ. პავლოვის მოძღვრების იდეოლოგიურად სწორი ინტერპრეტაციის დაკანონება და ალტერნატიული სამეცნიერო მიდგომების დისკრედიტაცია. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აკადემიკოს

ლ. ა. ორბელისა და მისი სამეცნიერო სკოლის მარგინალიზაციას, ინსტიტუციური რეორგანიზაციების პოლიტიკურ ლოგიკას და პარტიული კონტროლის გაძლიერებას სამეცნიერო საქმიანობაზე. სტატიაში გაანალიზებულია სესიის გავლენა სამეცნიერო ეთიკაზე, აკადემიურ თავისუფლებასა და ინტერნაციონალური სამეცნიერო თანამშრომლობის დინამიკაზე. დასკვნით ნაწილში ნაჩვენებია, რომ პავლოვიანურმა სესიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საბჭოთა სამეცნიერო კულტურის დოგმატიზაციის პროცესში და გრძელვადიან პერსპექტივაში შეაფერხა ფიზიოლოგიისა და მედიცინის ინტელექტუალური განვითარება.

### საკვანძო სიტყვები:

პავლოვიანური სესია; ი. პ. პავლოვი; საბჭოთა ფიზიოლოგია; სამეცნიერო იდეოლოგია; აკადემიური თავისუფლება; ლეონ ორბელი; მეცნიერება და პოლიტიკა; დოგმატიზმი; სამეცნიერო ეთიკა; საბჭოთა სამედიცინო მეცნიერება.

### შესავალი

იოსებ სტალინი თითქმის სამი ათწლეულის განმავლობაში წარმოადგენდა საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ცენტრალურ და დომინანტურ ფიგურას, რომლის ხელშიც უკიდურესად კონცენტრირებული იყო საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. ამგვარი ძალაუფლების კონცენტრაცია ტოტალიტარული პოლიტიკური და ეკონომიკური წყობის საფუძველს ქმნიდა, სადაც სახელმწიფო არა მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულატორი, არამედ მოქალაქეთა ყოველდღიური არსებობის ყოვლისმომცველი მაკონტროლებელი სუბიექტი იყო. სახელმწიფოს ექვემდებარებოდა როგორც მიწა და კერძო საკუთრება, ისე წარმოების საშუალებები, რაც პრაქტიკულად გამორიცხავდა ინდივიდუალურ ავტონომიას და დამოუკიდებელ სოციალურ თუ ინტელექტუალურ ინიციატივებს. ასეთ ავტოკრატიულ კონტექსტში სტალინი მეცნიერებას განიხილავდა არა როგორც დამოუკიდებელ შემეცნებით სფეროს, არამედ როგორც იდეოლოგიურად მართული ინსტრუმენტს, რომელიც სახელმწიფოს ინტერესებს უნდა მომსახურებოდა. იგი საკუთარ თავს აღიქვამდა არა მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების განმსაზღვრელ ლიდერად, არამედ კულტურული და სამეცნიერო დისკურსების საბოლოო არბიტრადაც, რომლის ავტორიტეტს არ ექვემდებარებოდა არანაირი ალტერნატიული ინტერპრეტაცია ან კრიტიკული აზრი (Ings, 2016).

1920-იანი წლების ბოლოს სტალინმა სისტემური და თანმიმდევრული ინტერვენციონიზმი დაამკვიდრა ხელოვნებისა და მეცნიერების სფეროებში, რაც მიზნად ისახავდა ამ დარგების სრული იდეოლოგიური კონტროლის ქვეშ მოქცევას. 1928 წლიდან ყველა სამეცნიერო პუბლიკაცია პარტიული ცენზურის ობიექტი გახდა, რამაც არსებითად შეზღუდა აკადემიური თავისუფლება და კვლევითი მრავალფეროვნება. უკვე 1929 წელს სახელმწიფომ სრულად დაიქვემდებარა რუსეთის ყველაზე ავტორიტეტული სამეცნიერო ინსტიტუცია — მეცნიერებათა აკადემია, რომელმაც დაკარგა თავისი ინსტიტუციური ავტონომია და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა. ამ პროცესის სიმბოლურ და იდეოლოგიურ კულმინაციას წარმოადგენდა 1939 წელი, როდესაც მეცნიერებათა აკადემიამ სტალინი საპატიო წევრად აირჩია და ოფიციალურად აღიარა იგი თანამედროვეობის დიდ მოაზროვნედ და მეცნიერების კორიფედ, რითაც მეცნიერება პოლიტიკური კულტის ნაწილად აქცია.

სტალინისტური მმართველობის ბოლო ეტაპი საბჭოთა მეცნიერებაში განსაკუთრებით ინტენსიური სახელმწიფო ჩარევით გამოირჩეოდა. ამ ინტერვენციონიზმის სტრატეგიული

მიზანი დასავლური კულტურისა და ინტელექტუალური ტრადიციების გავლენის სრული და უპირობო აღმოფხვრა იყო. 1947 წელს სტალინმა საჯაროდ და მკაცრად გააკრიტიკა გეორგი ალექსანდროვის (1908–1961) სახელმძღვანელო დასავლეთევროპული ფილოსოფიის ისტორია, რადგან მიაჩნდა, რომ ნაშრომში გადაჭარბებული ყურადღება ეთმობოდა დასავლელ მოაზროვნეებს, მაშინ როდესაც რუსული ფილოსოფიური მემკვიდრეობა არასაკმარისად იყო წარმოდგენილი და შეფასებული (Lektorsky & Bykova, 2019). აღნიშნული კრიტიკა არ იყო მხოლოდ აკადემიური დავის გამოხატულება, არამედ წარმოადგენდა იდეოლოგიური ხაზის მკაცრ დადგენას. მომდევნო წელს სტალინმა მოიწვია ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სესია, რომლის ფარგლებშიც კლასიკური გენეტიკის ფუნდამენტური პრინციპები — მენდელის მემკვიდრეობის კანონები — ოფიციალურად ჩანაცვლდა მიჩურინისტული დოქტრინით, რაც ნათლად ასახავდა პოლიტიკური იდეოლოგიის პრიმატს სამეცნიერო მტკიცებულებებზე (Ptushenko, 2021).

წინამდებარე ნაშრომის მიზანია სტალინისტური ინტერვენციონიზმის ანალიზი საბჭოთა ფიზიოლოგიის კონტექსტში, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით 1950 წელს გამართულ ე.წ. პავლოვიანურ სესიებზე, რომლებიც მეცნიერებასა და ძალაუფლებას შორის ურთიერთქმედების ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს.

### მეთოდოლოგია

კვლევა ეფუძნება თვისებრივ ისტორიულ-ანალიტიკურ მიდგომას და მიზნად ისახავს 1950 წლის პავლოვიანური სესიის შინაარსის, კონტექსტისა და შედეგების კრიტიკულ ანალიზს საბჭოთა მეცნიერების განვითარების ჭრილში. გამოყენებულია ისტორიული კვლევის, კრიტიკული დისკურსანალიზისა და ინსტიტუციური ანალიზის კომბინაცია.

პირველწყაროების ანალიზი მოიცავს პავლოვიანური სესიის ოფიციალურ მასალებს, აკადემიური ინსტიტუტების გადაწყვეტილებებსა და პარტიულ დოკუმენტებს, რაც საშუალებას იძლევა გამიჯნულ იქნას სესიის დეკლარირებული სამეცნიერო მიზნები და მისი რეალური იდეოლოგიური ფუნქციები. დისკურსანალიზი გამოიყენება პავლოვის მოძღვრების ინტერპრეტაციის პოლიტიკური მექანიზმების, „მართებული“ და „არამართებული“ სამეცნიერო პოზიციების კონსტრუქციისა და კონკრეტული მეცნიერების დელეგატიმაციის სტრატეგიების გამოსავლენად.

ინსტიტუციური ანალიზის ფარგლებში შეფასებულია სესიის გავლენა საბჭოთა სამეცნიერო ინფრასტრუქტურაზე, მათ შორის ინსტიტუტების რეორგანიზაცია, საკადრო ცვლილებები და პარტიული კონტროლის გაძლიერება. კვლევა ასევე ეყრდნობა თანამედროვე ისტორიოგრაფიასა და მეცნიერების სოციოლოგიის ნაშრომებს, რაც უზრუნველყოფს პავლოვიანური სესიის როგორც ისტორიული, ასევე სოციალური და იდეოლოგიური ფენომენის ინტერპრეტაციას.

### შედეგები და მსჯელობა

სტალინის პოლიტიკური პროექტი თავიდანვე ეფუძნებოდა რეალობის მიზანმიმართულ გარდაქმნას, რაც მოიაზრებდა არა მხოლოდ ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურების, არამედ ბუნებისა და ადამიანის თვითმყოფადობის გადაფორმატებას საბჭოთა იდეოლოგიის მოთხოვნების შესაბამისად. ამ კონტექსტში იგი მუდმივად ეძებდა ისეთ თეორიულ და პრაქტიკულ კონსტრუქციებს, რომლებიც სახელმწიფოს საშუალებას მისცემდა აქტიურად ჩარეულიყო როგორც ბუნებრივ, ისე სოციალურ პროცესებში და ისინი „მართვად ობიექტებად“ ექცია. ამ მიდგომის თვალსაჩინო გამოხატულება იყო 1948 წელს შემუშავებული

„ბუნების გარდაქმნის დიდი გეგმა“ — მასშტაბური, ფინანსურად და ადმინისტრაციულად უკიდურესად რთული პროგრამა, რომელიც მოიცავდა სარწყავი სისტემების განვითარებასა და ტყის დამცავი ზოლების გაშენებას და მიზნად ისახავდა რუსეთის სოფლის სივრცის ხელოვნურ გარდაქმნას ნაყოფიერ და კონტროლირებად ლანდშაფტად. აღნიშნული გეგმა ბუნებას აღიქვამდა არა როგორც თვითრეგულირებად სისტემას, არამედ როგორც პოლიტიკურად სამართავ რესურსს.

ამ ტრანსფორმაციული ხედვის იდეოლოგიურ და ინსტიტუციურ კულმინაციას წარმოადგენდა იმავე წელს გამართული ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სესია, რომელიც საბჭოთა მეცნიერების ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე სიმბოლურ მოვლენად მიიჩნევა. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სრული თანხმობითა და უშუალო პოლიტიკური მხარდაჭერით, აღნიშნულ სესიაზე ოფიციალურად დაკანონდა მიჩურინისტული დოქტრინა, კლასიკური გენეტიკის ფუნდამენტური პრინციპები დისკრედიტირებულ იქნა, დარვინის თეორია „შეცდომების შემცველად“ გამოცხადდა, ხოლო გრეგორ მენდელი რეაქციონერ მეცნიერად შერაცხეს. ამგვარად, მეცნიერული დებატი პოლიტიკურ ვერდიქტად გარდაიქმნა, ხოლო ბიოლოგია — იდეოლოგიური ბრძოლის არენად.

ივან მიჩურინი (1855–1935) ამტკიცებდა, რომ ევოლუციური ცვლილებების ძირითადი მამოძრავებელი ძალა არ არის თავად ორგანიზმის შინაგანი სტრუქტურა, არამედ გარემოს ის პირობები, რომლებიც ადამიანის მიერ შეგნებულად შეიძლება მოდიფიცირდეს და კონტროლდებოდეს. მიჩურინისტული დოქტრინა ეყრდნობოდა ჟან-ბატისტ ლამარკის (1744–1829) ევოლუციის თეორიას, რომლის მიხედვითაც ორგანიზმები გარემოსთან ადაპტაციას ახორციელებენ შექმნილი მახასიათებლების მემკვიდრეობით გადაცემის გზით. ამ კონცეპტუალური ჩარჩოს ფარგლებში ორგანიზმი და გარემო განიხილება როგორც განუყოფელი მთლიანობა, რის შედეგადაც სხეული აღარ აღიქმება დამოუკიდებელ ბიოლოგიურ ერთეულად, არამედ კონკრეტული ევოლოგიური და სოციალური პირობების ფუნქციად. შესაბამისად, ორგანიზმი და გარემო ქმნიან ერთიან ადაპტაციურ სისტემას, სადაც ცვლილებების ინიციატორი და განმსაზღვრელი ფაქტორი გარემოა.

ტრანსფორმაციისა და მექანიკური მიზნობრიობის ეს პრინციპები განსაკუთრებით მიმზიდველი აღმოჩნდა საბჭოთა იდეოლოგიისთვის და გარდაუვლად დამკვიდრდა იმ ინტელექტუალურ სფეროებში, რომლებიც ადამიანის ქცევის, ცნობიერებისა და სოციალური ფუნქციონირების ახსნას ეხებოდა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში საბჭოთა საზოგადოება მძიმე ფსიქოსოციალურ კრიზისში აღმოჩნდა: მასობრივი დაღლილობა, პასიურობა და მიზნებისადმი გულგრილობა ფართოდ გავრცელდა. მკვლევართა შეფასებით, პრობლემის არსი არ მდგომარეობდა მოსახლეობის ფიზიკურ უუნარობაში ახალი მსხვერპლის გაღების მიმართ, არამედ იმ მსხვერპლის სიმბოლურ უაზრობაში, რომლის გაღებაც მათგან მოითხოვებოდა, და მშვიდობისა და სტაბილური მომავლის პერსპექტივის არარსებობაში (Tucker, 1956). ამ ვითარებამ წარმოშვა საყოველთაო აპათია, რომელიც თან სდევდა დანებებასა და სულიერ გაუცხოებას ყოვლისმომცველი საბჭოთა სახელმწიფოს დეკლარირებული მიზნებისგან.

ამ კრიზისულ კონტექსტში სტალინმა წამოაყენა იდეა, რომ თუ მიჩურინისტული დოქტრინა შესაძლებელს ხდიდა ახალი მცენარეთა და ცხოველთა სახეობების „გამოყვანას“, მაშინ იგი ასევე შეიძლებოდა გამოყენებულიყო ახალი, იდეოლოგიურად ლოიალური და ფსიქოლოგიურად მართვადი „საბჭოთა ადამიანის“ ფორმირებისთვის. ფსიქოლოგიისა და ფიზიოლოგიის სფეროში მიჩურინის ანალოგიური ფიგურის ძიებისას, რომელსაც შეეძლო

ადამიანის ბუნების სისტემური გარდაქმნა, სტალინმა ხელახლა აღმოაჩინა ივან პავლოვის (1849–1936) მეცნიერული მემკვიდრეობა. პირობითი რეფლექსების თეორიაში მან დაინახა კონცეპტუალური მოდელი, რომელიც ადამიანის ქცევას სახელმწიფო მიერ კონტროლირებად გარემოში აქცევდა და ადამიანის ბუნებას მექანიკურ, პროგნოზირებად და მართვად პროცესად წარმოაჩენდა (Tischenko, 2018). პავლოვის „სტიმული–რეაქციის“ სქემა სტალინს საშუალებას აძლევდა ადამიანი აღექვა როგორც ფუნქციური ავტომატი, რომლის ქცევა გარეგანი ზემოქმედებების შედეგია.

სტალინის მიერ პავლოვის ხელახალმა ინსტრუმენტალიზაციამ საფუძველი ჩაუყარა ე.წ. პავლოვიანურ რევოლუციას საბჭოთა ქცევით მეცნიერებებში. პირობითი რეფლექსის პრინციპი იქცა „საბჭოთა ადამიანის“ კონცეპტუალურ ბირთვად: ადამიანი განისაზღვრა როგორც რეაქტიული მექანიზმი, რომლის ქცევა და ფსიქიკური პროცესები — მათ შორის უმაღლესი ნერვული ფუნქციებიც — სრულად შეიძლება აიხსნას კონდიციონების კანონების მეშვეობით და მიზანმიმართულად კონტროლდებოდეს ამ ცოდნის პრაქტიკული გამოყენებით. ამ ინტელექტუალურ სინთეზს საფუძვლად დაედო ე.წ. „მიჩურინ–პავლოვის ბიოლოგიის“ კონცეფცია, რომელიც მიჩურინისტული და პავლოვისეული დოქტრინების გაერთიანებას წარმოადგენდა. ორივე მიდგომას აერთიანებდა ორგანიზმისა და გარემოს ერთიანობის ფუნდამენტური პრინციპი: თუ მიჩურინიზმი ძირითადად სოფლის მეურნეობისა და ბიოლოგიური ტრანსფორმაციის სფეროს მოიცავდა, პავლოვის თეორიები ფიზიოლოგიის, ფსიქოლოგიისა და მედიცინის მიმართულებით ვრცელდებოდა. მკვლევართა მტკიცებით, პავლოვიანურ დოქტრინას რომ არ ჰქონოდა ის მეცნიერული ლეგიტიმაცია, რომელიც სტალინს მორჩილი და ადაპტირებული ფსიქოლოგიური მოდელის დასამყარებლად სჭირდებოდა, პავლოვიანური სესიების ჩატარება თავადაც ეჭვქვეშ დადგებოდა (Yasnitsky & Van der Veer, 2015).

ფიზიოლოგია იმპერიული რუსეთის ეპოქაში ერთ-ერთ ყველაზე ინსტიტუციურად ჩამოყალიბებულ და დინამიკურად განვითარებულ სამეცნიერო დისციპლინად მიიჩნეოდა. ფიზიოლოგიური კვლევები ხორციელდებოდა როგორც საუნივერსიტეტო ბაზაზე შექმნილ ლაბორატორიებსა და ინსტიტუტებში, ისე კერძო დაფინანსებით დაარსებულ სამეცნიერო ცენტრებში, მათ შორის ექსპერიმენტული მედიცინისა და ფსიქონევროლოგიური კვლევითი ინსტიტუტებში. აღნიშნული ინფრასტრუქტურული და ინტელექტუალური განვითარების საერთაშორისო აღიარებას წარმოადგენდა ივან პავლოვისთვის 1904 წელს ნობელის პრემიის მინიჭება, რომელმაც რუსული ფიზიოლოგიური მეცნიერება გლობალური სამეცნიერო ელიტის ნაწილად აქცია.

1917 წელს ცარისტული რეჟიმის დამხობის შემდეგ ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ პავლოვი ახლად ჩამოყალიბებულ საბჭოთა სახელმწიფოში ფიზიოლოგიის უმაღლეს ავტორიტეტად აღიარა. ეს გადაწყვეტილება პარადოქსული იყო იმ თვალსაზრისით, რომ პავლოვი ღიად აკრიტიკებდა ბოლშევიკურ რეჟიმს და სკეპტიკურად იყო განწყობილი საბჭოთა სამეცნიერო პოლიტიკის მრავალი ასპექტის მიმართ. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ მას სრული ინსტიტუციური და ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა. ამ მხარდაჭერის პირობებში პავლოვმა შექმნა ფართომასშტაბიანი სამეცნიერო ქსელი, რომელიც ფიზიოლოგიას სცდებოდა და მოიცავდა ფსიქოლოგიას, ფსიქიატრიას, ნევროლოგიასა და პედაგოგიკას. მეცნიერებათა აკადემიაში არსებული მისი ლაბორატორია გარდაიქმნა სრულფასოვან ფიზიოლოგიურ ინსტიტუტად, ხოლო ლენინგრადის სიახლოვეს, სოფელ კოლტუშში, დაარსებული ექსპერიმენტული სადგური „პირობითი რეფლექსების მსოფლიო დედაქალაქად“ იქცა. 1920–1930-იან წლებში პავლოვის ლაბორატორიები გადაიქცა

პროფესიული ფორმირების მთავარ სივრცედ, სადაც სტაჟირებას გადიოდნენ როგორც საბჭოთა, ისე უცხოელი ფიზიოლოგები.

1936 წელს პავლოვის გარდაცვალებამ საფუძველი ჩაუყარა მწვავე ინსტიტუციურ და პოლიტიკურ დაპირისპირებას მისი სამეცნიერო მემკვიდრეობისა და მის მიერ შექმნილი ორგანიზაციული სისტემის კონტროლისთვის, რომელიც საბჭოთა ფიზიოლოგიის ბირთვად განიხილებოდა. ამ კონტექსტში კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ, სტალინის ხელმძღვანელობით, პავლოვის მთავარ მემკვიდრედ ლეონ ორბელი (1882–1958) განსაზღვრა. ორბელის სამეცნიერო კარიერა ჯერ კიდევ 1901 წელს დაიწყო, როდესაც იგი პავლოვის ლაბორატორიას შეუერთდა სანქტ-პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში. იგი პავლოვის უახლოეს თანამშრომელთა წრეში შევიდა და სწრაფად მოიპოვა პროფესიული ავტორიტეტი. 1925 წელს იგი მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელად დაინიშნა, ხოლო ათი წლის შემდეგ — აკადემიის ნამდვილ წევრად. 1939–1948 წლებში ორბელი ხელმძღვანელობდა ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილებას, რაც მის აკადემიურ და ადმინისტრაციულ ძალაუფლებას კიდევ უფრო აძლიერებდა.

პავლოვის გარდაცვალების შემდეგ ორბელი სათავეში ჩაუდგა მეცნიერებათა აკადემიის პავლოვის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტს, აგრეთვე სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის ევოლუციური ფიზიოლოგიისა და უმაღლესი ნერვული აქტივობის პათოლოგიის ინსტიტუტს. 1945 წელს იგი მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა და სოციალისტური შრომის გმირის წოდებით დაჯილდოვდა, რაც საბჭოთა სამოქალაქო იერარქიაში უმაღლეს აღიარებას წარმოადგენდა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში სამხედრო-სამედიცინო აკადემიის ხელმძღვანელობისთვის მას გენერალ-პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა — უმაღლესი სამხედრო რანგი, რომელიც სამედიცინო სამსახურისთვის არსებობდა.

ორბელის აკადემიურმა დომინანტობამ უკმაყოფილება და შური გამოიწვია პავლოვის ზოგიერთი ყოფილი მოწაფის მხრიდან, რომლებიც მის გავლენას „სამეცნიერო მონოპოლიად“ აღიქვამდნენ. მისი ძალაუფლებას შეზღუდვის მიზნით, მათ კომუნისტურ პარტიას მიმართეს ბრალდებებით, თითქოს ორბელიმ პავლოვის მეცნიერულ მემკვიდრეობას გადაუხვია. პარტიის მხარდაჭერის პირობებში ეს მცდელობები თავდაპირველად უშედეგო აღმოჩნდა, თუმცა ვითარება მკვეთრად შეიცვალა 1940-იანი წლების ბოლოს.

გარდამტეხ მომენტად იქცა 1948 წლის აგვისტოში ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამართული სესია თემაზე „ბიოლოგიურ მეცნიერებათა მდგომარეობის შესახებ საბჭოთა კავშირში“. სესიაზე ტროფიმ ლისენკომ თანამედროვე გენეტიკა ბურჟუაზიულ და კლასობრივად მტრულ მსოფლმხედველობად გამოაცხადა, რომელიც, მისი მტკიცებით, ეწინააღმდეგებოდა როგორც მიჩურინისტულ დოქტრინას, ისე ლენინისა და სტალინის მიერ განსაზღვრულ იდეოლოგიურ ხაზს. ორბელის პოზიცია ამ დებატებში ორაზროვანი აღმოჩნდა: ერთი მხრივ, იგი გენეტიკის გარკვეულ თეორიულ პრობლემებს აღიარებდა, ხოლო მეორე მხრივ, არ იზიარებდა ლისენკოს დოგმატურ დასკვნებს. სწორედ ამ პოზიციის გაურკვეველობამ მის ოპონენტებს მისცა საფუძველი ექვევემ დაეყენებინათ როგორც მისი სამეცნიერო ავტორიტეტი, ისე პარტიისადმი ლოიალობა.

ორბელის ჩამოშორებაში — როგორც პავლოვის ყოფილი ფავორიტი მოწაფისა და საბჭოთა ფიზიოლოგიის ფაქტობრივი ლიდერის — სტალინმა დაინახა შესაძლებლობა თავისი ფართო იდეოლოგიური პროექტის რეალიზაციისთვის, რომელიც პავლოვიანური დოქტრინის მეშვეობით „საბჭოთა ადამიანის“ ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად. ამ მიზნით, 1949 წლის

ზაფხულში სტალინი შეხვდა საბჭოთა კავშირის ჯანდაცვის მინისტრ იეფიმ სმირნოვს (1904–1989) და დაავალა მას სპეციალური სამეცნიერო სესიის მომზადება, სადაც განხილული იქნებოდა პავლოვის მოძღვრება და საბჭოთა ფიზიოლოგიის მომავალი. სმირნოვის ცნობით, სტალინის ინტერესი ამ საკითხის მიმართ გაძლიერდა მას შემდეგ, რაც მან ისაუბრა იური ჟდანოვთან (1919–2006), ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების განყოფილების ხელმძღვანელთან — პიროვნებასთან, რომელმაც ირონიულად თავადაც სერიოზული პოლიტიკური პრობლემები გადაიტანა ლისენკოსადმი საჯარო წინააღმდეგობის გამო.

1948 წლის 10 აპრილს იური ჟდანოვმა წარმოადგინა მოხსენება თემაზე „თანამედროვე დარვინიზმის საკითხების შესახებ“. ამ გამოსვლიდან მალევე ტროფიმ ლისენკომ იოსებ სტალინს წერილით მიმართა, სადაც ჟდანოვს ბიოლოგიურ მეცნიერებებში მიჩურინისტული დოქტრინის განვითარების შეფერხებაში ადანაშაულებდა. აღნიშნულმა წერილმა სტალინის მწვავე რეაქცია გამოიწვია: ჟდანოვი კრემლში დაიბარეს და პოლიტიკური ზეწოლის შედეგად იგი იძულებული გახდა, 1948 წლის 10 ივლისს ოფიციალურად უკან გაეწვია საკუთარი განცხადებები. წერილში ჟდანოვმა თვითკრიტიკული ტონი აირჩია, საკუთარი პოზიციის შეცდომები გამოცდილებისა და პოლიტიკურ-სამეცნიერო სიმწიფის ნაკლებობით ახსნა და ერთგულება გამოხატა პარტიული ხაზისადმი.

შემდგომში ჟდანოვმა ორბელის წინააღმდეგ განვითარებულ კამპანიასა და პავლოვის სამეცნიერო მემკვიდრეობისთვის ბრძოლაში საკუთარი პოლიტიკური რეაბილიტაციის შესაძლებლობა დაინახა. 1949 წელს სტალინისთვის გაგზავნილ წერილში მან ყურადღება გაამახვილა პავლოვის მოძღვრების „რევიზიონისტული“ ინტერპრეტაციების გადახედვის აუცილებლობაზე და პარალელურად აკადემიკოს ლეონ ორბელის მიერ ფიზიოლოგიის სფეროში დამკვიდრებული „მონოპოლიური“ მდგომარეობის ლიკვიდაციას მოითხოვდა. ჟდანოვის შეფასებით, საბჭოთა ფიზიოლოგები პავლოვის მემკვიდრეობას სათანადოდ ვერ ავითარებდნენ, ხოლო მისი ოფიციალური მემკვიდრე — ორბელი — გადამეტებულ გავლენას ფლობდა სამეცნიერო ინსტიტუციებზე. 1949 წლის 6 ოქტომბერს მიღებულ პასუხში სტალინმა უკიდურესად მკაცრი და შეურიგებელი პოზიცია გამოხატა ორბელის მიმართ.

ორბელის გარდა, სტალინმა პავლოვის მოძღვრებისადმი მტრულად განწყობილ მეცნიერად დაასახელა ივან ბერიტოვი (ბერიტაშვილი). ბერიტაშვილი (1885–1974) მიიჩნევდა, რომ პავლოვის თეორიული ჩარჩოები ნეირონული პროცესების სიღრმისეული ახსნისთვის არასაკმარისად კომპლექსური იყო. „პავლოვიანური სესიის“ შემდეგ იგი ჩამოაშორეს აკადემიურ თანამდებობებს და პრაქტიკულად აუკრძალეს სამეცნიერო საქმიანობა.

ამ პროცესების ლოგიკურ გაგრძელებად სტალინმა გასცა განკარგულება ფიზიოლოგთა საკავშირო კონფერენციის ორგანიზების შესახებ, რომლის მიზნად პავლოვის სამეცნიერო მემკვიდრეობის განვითარების ოფიციალური შეფასება და ახალი იდეოლოგიური ჩარჩოს დადგენა განისაზღვრა. კონფერენციის მომზადება დაევალი იური ჟდანოვს, ჯანდაცვის მინისტრ იეფიმ სმირნოვისა და მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, სერგეი ვავილოვის (1891–1951), ინსტიტუციური მხარდაჭერით.

1950 წელს მოსკოვის მეცნიერთა სახლში გაიმართა მასშტაბური სამეცნიერო სესია, რომელიც აკადემიკოს ივან პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების შეფასებასა და ინტერპრეტაციას ეძღვნებოდა. ღონისძიება ორგანიზებული იყო საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის მიერ და მასზე 1400-ზე მეტი მონაწილე შეიკრიბა, რაც სესიის მნიშვნელობასა და მის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ დატვირთვაზე მიუთითებს. მიუხედავად ფორმალური სამეცნიერო ჩარჩოსა, დისკუსიის ძირითადი მიზანი ნაკლებად იყო ფიზიოლოგიური კვლევების არსებითი ანალიზი და მეტად

— პავლოვის რიგი მოწაფეების საჯარო კრიტიკა და დისკრედიტაცია. ისინი წარმოაჩინეს როგორც ანტიმარქსისტები, კოსმოპოლიტები და რეაქციონერები, რომლებიც თითქოს გადაუხვიეს პავლოვის მიერ განსაზღვრულ „ერთადერთ სწორ“ მეცნიერულ გზას.

სესიის დასკვნით ეტაპზე ლეონ ორბელმა ოფიციალურად მიიღო მის მიმართ გამოთქმული ბრალდებები. მან აღიარა, რომ პავლოვის მოწაფეთა სამეცნიერო საქმიანობა სათანადოდ ორგანიზებული არ იყო და რომ მისმა ზოგიერთმა ფორმულირებამ, განსაკუთრებით მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიასთან დაკავშირებულ საკითხებში, არაზუსტი ინტერპრეტაციების საფუძველი შექმნა და შესაძლოა ისტორიული მატერიალიზმისგან გადახვევის შთაბეჭდილებაც დაეტოვებინა. ამასთან, ორბელმა დაადასტურა, რომ არასაკმარისად იცავდა პავლოვის მოძღვრებას უცხოელი კრიტიკოსებისა და რევიზიონისტების წინააღმდეგ და სათანადოდ არ უპირისპირდებოდა ბურჟუაზიული იდეალისტური თეორიებისა და კონცეფციების გავლენას. საბოლოოდ, მან სრულად გაიზიარა პოზიცია, რომლის მიხედვითაც პავლოვის ნაშრომების მიმართ ნებისმიერი „რევიზიონისტული“ ინტერპრეტაციის წინააღმდეგ აუცილებელი იყო მკაცრი და შეურიგებელი ბოლშევიკური მიდგომის გატარება.

პავლოვიანური სესიის დასკვნით ცერემონიაზე საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრებს დაევალათ უმოკლეს ვადებში განეხორციელებინათ ფართომასშტაბიანი ორგანიზაციული და სამეცნიერო ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდა აკადემიკოს ი. პ. პავლოვის მოძღვრების თეორიული საფუძვლების გაძლიერებასა და მის სისტემურ დანერგვას პრაქტიკულ სფეროებში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პავლოვიანური ფიზიოლოგიის ინტეგრირებას მედიცინის, პედაგოგიკისა და ფიზიკური აღზრდის პრაქტიკაში, აგრეთვე მისი გამოყენების გაფართოებას სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის სფეროებში.

ამ მიზნის მისაღწევად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ფიზიოლოგიასა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სამედიცინო დისციპლინებში — მათ შორის შინაგან მედიცინაში, ჰიგიენაში, ფსიქიატრიაში, ნევროპათოლოგიასა და სხვა მიმართულებებში — არსებული სამეცნიერო სამუშაო გეგმების საფუძვლიანი გადახედვის შესახებ. პარალელურად, განისაზღვრა უნივერსიტეტებში ფიზიოლოგიის სასწავლო პროგრამების რესტრუქტურისა და აუცილებლობა, რაც უნდა განხორციელებულიყო პავლოვიანური ფიზიოლოგიის დოგმატურად გააზრებულ პრინციპებზე დაყრდნობით. დასკვნითი მოხსენების ბოლო ნაწილში გაჟღერდა მიმართვა ფიზიოლოგიისა და მედიცინის სფეროში მომუშავე ყველა სპეციალისტისადმი, რათა მათ „შემოქმედებითად“ განევიტარებინათ პავლოვის მოძღვრება და იგი საზოგადოების კეთილდღეობის სამსახურში დაეყენებინათ — რაც პრაქტიკაში ხშირად იდეოლოგიური ლოიალობის მოთხოვნად ტრანსფორმირდა.

სესიის დასრულებიდან სულ რამდენიმე დღეში კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტის გადაწყვეტილებით ლ. ა. ორბელი დაადანაშაულეს „აუტანელ მონოპოლიაში“, რომელიც, ოფიციალური ბრალდების თანახმად, ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა მეცნიერების კოლექტივისტურ სულისკვეთებას და ზღუდავდა მის „თავისუფალ განვითარებას“. ამ ვითარების „გამოსასწორებლად“ ორბელი ჩამოაშორეს როგორც ი. პ. პავლოვის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის, ისე უმაღლესი ნერვული აქტივობის ევოლუციური ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობებს. აღნიშნული ინსტიტუტები გაერთიანდა და მათ ბაზაზე ჩამოყალიბდა ახალი ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, ახალი ხელმძღვანელობით. ამავე დროს, უმაღლესი ნერვული აქტივობის ევოლუციური

ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის ინსტიტუტის მოსკოვის განყოფილება რეორგანიზებულ იქნა და გადაკეთდა უმაღლესი ნერვული აქტივობის დამოუკიდებელ ინსტიტუტად. ორბელის მარგინალიზაციისა და პოლიტიკური ნეიტრალიზაციის შემდეგ საბჭოთა სამეცნიერო სივრცეში ფაქტობრივად აღარ არსებობდა ავტორიტეტული ფიგურა, რომელსაც შეეძლო კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახული სამეცნიერო-იდეოლოგიური კურსისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ, 1953 წლიდან, ორბელის მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდა. დესტალინიზაციის საწყის ეტაპზე, 1955 წელს, იგი დაინიშნა მეცნიერებათა აკადემიის ი. მ. სეჩენოვის სახელობის ევოლუციური ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის ინსტიტუტის დირექტორად და ამ თანამდებობას სიცოცხლის ბოლომდე, 1958 წლამდე იკავებდა.

თუმცა, პავლოვიანური სესიის შემდეგ საბჭოთა ფიზიოლოგიის კონტროლისთვის შიდა დაპირისპირებები არ შეწყვეტილა. 1950 წლის სესიამ არა მხოლოდ შეაფერხა ფიზიოლოგიისა და მედიცინის დამოუკიდებელი და პლურალისტური განვითარება, არამედ სერიოზული დარტყმა მიაყენა მეცნიერების მორალურ და ეთიკურ საფუძვლებს. მან დაანგრია მრავალი მეცნიერის პროფესიული მომავალი და დაამახინჯა ახალგაზრდობის ფსიქოლოგიური გარემო, წახალისა რა მორჩილება, კონფორმიზმი და კარიერული ოპორტუნიზმი. სესიამ მნიშვნელოვნად დააზიანა უმაღლესი ნერვული აქტივობის ფიზიოლოგიის ინტელექტუალური სული, გაავრცელა დოგმატიზმი, მონოლითური აზროვნება და იდეოლოგიური ერთსულოვნება, რაც მეცნიერებისთვის პრინციპულად შეუფერებელია. საბოლოოდ, ამ მოვლენამ გააღრმავა გაუცხოება, დაყოფა და დაპირისპირება როგორც საბჭოთა მეცნიერებს შორის, ისე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან ურთიერთობებში, შეაფერხა საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარება და დაანგრია თანამშრომლობისა და პროგრესული ინტელექტუალური ურთიერთქმედების ის ტრადიცია, რომელიც მეცნიერების ბუნებრივ საფუძველს წარმოადგენს.

### დასკვნა

პავლოვიანური სესია საბჭოთა ფიზიოლოგიისა და მედიცინის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენად იქცა, რომლის გავლენაც როგორც სამეცნიერო პროცესებზე, ასევე ინტელექტუალურ და მორალურ გარემოზე აღსანიშნავია. სესია აშკარად გამოირჩეოდა არა მხოლოდ პავლოვის ნაშრომების განხილვით, არამედ პოლიტიკური და იდეოლოგიური ძალაუფლების მობილიზებით, რაც მიზნად ისახავდა „საბჭოთა ფიზიოლოგიის“ განმტკიცებას და აკადემიკოს ორბელის გავლენის შეზღუდვას.

პავლოვიანური სესია წარმოადგენდა იდეოლოგიური კონტროლის ჭეშმარიტ მაგალითს, რომელმაც შეცვალა სამეცნიერო დისციპლინის განვითარების კურსი, ხელი შეუშალა დამოუკიდებელ კვლევებს და გაზარდა მორჩილების მნიშვნელობა მეცნიერებაში. ამ პროცესმა განსაკუთრებით იმსხვერპლა პავლოვის ზოგიერთი მოწაფის კარიერა და ახალი თაობის მეცნიერთა მსოფლმხედველობა, რამაც განაპირობა დოგმატიზმის, კონფორმიზმისა და მონოლითური აზროვნების გავრცელება.

ზემოთ მოყვანილი ისტორიული მაგალითები ხაზგასმით უსვამენ იმას, რომ მეცნიერება, რომელიც იდეოლოგიურ ჩარჩოში მოექცა, კარგავს თავის დამოუკიდებლობას, ზღუდავს კვლევისა და კრიტიკული აზროვნების შესაძლებლობებს და მნიშვნელოვნად აფერხებს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარებას.

**გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES**

- Ings S. (2016). *Stalin and the scientists: a history of triumph and tragedy, 1905-1953*. London: Faber & Faber.
- Lektorsky, VA., Bykova, MF. (2019). *Philosophical thought in Russia in the second half of the twentieth century*. New York: Bloomsbury Academic.
- Ptushenko, VV. (2021). The pushback against state interference in science: how Lysenkoism tried to suppress Genetics and how it was eventually defeated. *Genetics*. 219(4):iyab162.
- Tischenko, P. (2018). Moral Enhancement in Russia: Lessons from the Past. *Cambridge Quarterly of Healthcare Ethics*, 27(3), 467-469.
- Yasnitsky, A., & Van der Veer, R. (Eds.). (2015). *Revisionist revolution in Vygotsky studies: The state of the art*.